საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-325

15/04/2019

ქ. თბილისი

ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ შუამთაში "საქართველოს საავტომობილო გზების დეპარატმენტის" მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გვერდითი ეროზიული ზემოქმედებისგან დასაცავად ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გვერდითი ეროზიული ზემოქმედებისგან დასაცავად ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში მდ. რიონის ჭალა-კალაპოტში მყარი მასალის აკუმულაციის შედეგად ხდება მდინარის კალაპოტის მეანდრირება, რამაც გამოიწვია გვერდითი ეროზიული პროცესების გააქტიურება და ჭალის ზედა ტერასის წარეცხვა. აღნიშნული პროცესები საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სავარგულებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე 1464 მ სიგრძის ქვანაყარი ბერმის ნაგებობის მოწყობა, რომელიც გაანგარიშებული იქნება 3% უზრუნველყოფის საანგარიშო ხარჯზე. პროექტით გამოთვლილი მდ. რიონის კალაპოტის ზოგადი წარეცხვის საშუალო სიღრმე შეადგენს H საშ. 1,98 მ-ს. კალაპოტის სავარუდო ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმეა H მაქს. – 8,5 მ.

საპროექტო ობიექტის კოორდინატებია: X – 290447,298; Y- 4667189,221 და X – 289214,780; Y- 4667709,064. ნაპირსამაგრი სამუშაოების ვადა განსაზღვრულია პროექტით და შეადგენს 4 თვეს, სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია მდინარის წყალმცირობის პერიოდში. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს დაახლოებით 1,2 კმ-ში.

ბერმის ფლეთილი ლოდების საანგარიშო დიამეტრია - 1,1 მ. ქვის მოცულობითი წონა შეადგენს არანაკლებ 2,4 ტ/მ^3-ს. ნაგებობის თხემის სიგანე შეადგენს 8.5 მეტრს, ნაგებობის სიმაღლეა 3.3 მ. ნაგებობის 1 გრძივ მეტრზე გათვალისწინებულია 31 მ^3 მოცულობის საანგარიშო ლოდების ჩაყრა. ქვანაყარი ბერმის მოწყობა მოხდება მდინარის მარცხენა ნაპირზე. სამუშაოები განხორციელდება ტექნიკის წყალში დგომის გარეშე. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ბერმის თხემზე დროებითი გზის მოწყობა ადგილობრივი გრუნტის გამოყენებით. ასევე, ქვაბულიდან ამოღებული და შემოტანილი გრუნტისგან უკუყრილის მოწყობა და ობიექტამდე მისასვლელი გზის მოხრეშვა.

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას გააკონტროლებს ზედამხედველი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე. ზედამხედველის მიერ მონიტორინგი განხორციელდება რისკის მატარებელი სამუშაოების შესრულებისას. სამუშაო უბანი დაცული იქნება გარეშე პირების მოხვედრისგან. მშენებლობის პროცესში გამოყენებული იქნება ოთხი ავტოთვითმცლელი და ბულდოზერი.

მდ. რიონის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში დაგეგმილი არ არის სამშენებლო ბანაკის მოწყობა. მშენებლობაზე ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით აღნიშნული საქმიანობა არ ითვალისწინებს ნარჩენების წარმოქმნას. ტერიტორიის ფარგლებში გრუნტის დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში: ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის ან ზეთების ჟონვის, ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სამშენებლო მოედანზე დაწესდება კონტროლი.

სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვება მოხდება საასენიზაციო ორმოში. სახიფათო ნარჩენები დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე ცალკე გამოყოფილ სათავსოში. სამუშაოების დასრულების შემდეგ სახიფათო ნარჩენები გადაეცემა ამ სახის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე პირს. სამუშაოების დასრულების შემდეგ საპროექტო ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება.

პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელია სამშენებლო ტექნიკის ხმაური, რაც განსაზღვრული იქნება შესაბამისი სამუშაო საათებით, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს დაახლოებით 1.2 კმ-ში, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. სამუშაოების ჩატარების პროცესში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების წყაროს წარმოადგენს მშენებლობაზე გამოყენებული ტექნიკის ძრავების მუშაობით გამოყოფილი გამონაბოლქვი და ტექნიკის გადაადგილებისას წარმოქმნილი მტვერი.

სხვა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე მდ. რიონის ნაპირსამაგრი სამუშაოების პერიოდში მოსალოდნელი არ არის.

აღნიშნული საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან. საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში არ ფიქსირდება დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით საქმიანობის განხორციელების ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ არის წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

სამუშაოს სპეციფიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სოფ. შუამთაში მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გვერდითი ეროზიული ზემოქმედებისგან დასაცავად ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოებს ადგილმდებარეობის, სპეციფიკის და

სამუშაოების განხორციელების ვადის გათვალისწინებით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გვერდითი ეროზიული ზემოქმედებისგან დასაცავად ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოები **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ვანის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი